

„ღირს არს“ - ის ნაცვლად  
საკითხავი საგალობელი სრულიად  
წელიწადსა შინა

*ბზობის კვირას:*

ღმერთი უფალი გამოგვიჩნდა ჩვენ დღეს, განზადეთ  
დღესასწაული და მზიარულებით მოვედით და განვადილოთ  
ქრისტე ბაიასთა და რტოებითა ქებისმეტყველთა, კურთხეულ  
არს მომავალი სახელითა უფლისათა უკუნისამდე.

*დიდ ორშაბათს:*

განადიდე შენ ქრისტე, მშობელი შენი ღმრთისმშობელი,  
რომლისა მიერ ქმნისა ჩუენისა თვთ მოქმედმან, მჰსგავს  
ვნებანი, შეისხენ კორცნი დამკსნელნი უმეტრებათანი, ამას  
უკუე ჰნატრიან ყოველნი ტომნი და შენ გადიდებენ.

*დიდ სამშაბათს:*

დაუტევნელისა ღმრთისა, მუცლითა დამტევნელსა და  
სოფლის სიხარულის მშობელსა, შენ გადიდებთ  
ღმრთისმშობელო ქალწულო.

*დიდ ოთხშაბათს:*

სულთ განწმედითა და ბაგეთა სიმართლითა, მოვედით  
განვადილოთ უქორწინებელი და ყოველად უბიწო დედა  
ემანუილისა, მისგან შობილისა მიმართ, ოხის მიმართვეელი,

ულხინე სულთა ჩუენთა, ქრისტე ღმერთო ჩუენო და გვაცხოვნენ  
ჩუენ.

*დიდ ხუთშაბათს:*

სტუმრობისა საღმრთოფსა და უკუდავისა ტაბლისა, ზესთა  
ადგილთა გრძნობათა, უმაღლესათსა, მორწმუნენო მოვედით  
მოვილოთ, უზენაესისა სიტყვსა, სიტყვთა განსწავლულთა და  
მას ვადიდებდეთ.

*დიდ პარასკევს:*

უპატრონესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა  
სერაფიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვსა ღმრთისასა,  
მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.

*დიდ შაბათს:*

ნუ მტირ მე დედაო მზილველი, საფლავსა შინა ძესა,  
რომელი მუცლად-მიღე, თუნიერ თესლისა, რამეთუ ადესდგე  
და ვიდილო მე ღმრთაებრ, და მალალ ვჰყუნე დიდებით,  
სარწმუნოდ და სურვილით, დაუცხრომელად შენნი  
მგალობელნი.

*აღდგომიდან ამაღლებამდე:*

ანგელოსი ჰლადადებს მიმადლებულ წმიდაო ქალწულო  
გიხაროდენ, და კუალად გიხაროდენ. მჰ შენი აღჰსდგა  
მესამესა დღესა საფლავით, და მკუდარნი აღადგინნა ერნო  
გიხაროდენ.

განათლდი, განათლდი, ახლო იერუსალემ, დღეს დიდებამ უფლისამ შენ ზედა გამობრწყინდა, განსცხრებოდე და იხარებდ სიონ, და აწ შენცა იშუებდი ღმრთისმშობელო, აღდგომასა ძისა შენისასა.

*ამაღლებიდან სულთმოფენობამდე:*

ადიდებს სული ჩემი ქუეყანით ზეცას ამაღლებულსა ქრისტესა ცხოვრების მომცემელსა.

ჰშევ ქალწულო მიუწთომელი ბუნებათა უფამოდ გამოუთქუმელი, ამისთვის უბიწოო, ყოველნი მორწმუნენი გადიდებენ შენ.

*სულთმოფენობიდან ყოველთა წმიდათა კვირამდე (სულთმოფენობის შემდგომი შაბათის ჩათვლით):*

მოციქულთა რა იხილეს გარდამოსლვა ნუგეშინისმცემელისა და უკვირდით ვითარ სახითა ცეცხლისა ენათამთა გამოჩნდა სულიწმიდაჲ.

გიხაროდენ შენ წმიდაო დედუფალო დედათა დიდებაო, ქალწულთა თუალო, რამეთუ მეტყუელებად ვერ შეძლებელ ვართ ღირსად ქებასა შობისა შენისასა ამისთვის სარწმუნოებით გადიდებთ შენ.

*ფერისცვალებიდან მის წარგ ზავნამდე (6-დან 14 აგვისტომდე, ძველი. სტილით.):*

ადიდე სულო ჩემო თაბორს ზედა ფერისცვალებამ უფლისამ.

შობა შენი უხრწნელ არს ქალწულო, ღმერთი მუცლით შენით გამოვიდა განკორციელებული, კაცთა შორის იქცეოდა,

ამისთვის შენ ღმრთისმშობელო სამართლად ყოველნი გადიდებთ.

*ღმრთისმშობლის მიძინებიდან მის წარგ ზავნამდე (15-დან 25 აგვისტომდე ძვ. სტ.):*

ანგელოსთა მიცვალებამ ყოვლადწმიდისა იხილეს და უკვირდით, ვითარ ქალწული აღვალს ქუეყანით ზეცას.

ძლეულ იქმნეს ბუნებანი მეტყუელები, შენთვის ქალწულო უბიწოო, ქალწულებრივი შობამ და სიკუდილი ცხოვრების-მომცემელი და შემდგომად შობისა ქალწულად ჰგიე და მოკუდავი ცხოველ ხარ ღმრთისმშობელო, სამართლად გადიდებთ შენ.

*ღმრთისმშობლის შობიდან მის წარგ ზავნამდე (8-დან 13 სექტემბრამდე, ძვ. სტ.):*

ადიდებს სული ჩემი ბერწთავან შობილსა ქალწულსა მარიამს.

განჰკვირდეს ზესკნელსა ცანი და კიდენი ქუეყანისანი შეძრწუნებულ იქმნეს, რაჟამს ღმერთი შენ მიერ კაცთა გამოეცხადა, და საშო შენი უმაღლეს ცათა საყდართა გამო-აჩინა, ამისთვის ღმრთისმშობელო, ანგელოსნი და კაცნი ვითარცა ღირს-ხარ გადიდებენ შენ.

*ჯუართამაღლებიდან მის წარგ ზავნამდე (14-დან 22 სექტემბრამდე ძვ. სტ.):*

ადიდებს სული ჩემი ყოვლადპატიოსანსა ჯუარსა უფლისასა.

საიდუმლო სამოთხე ხარ ღმრთისმშობელი, რომელმან უმუშაკოდ აღზარდე ქრისტე, ხოლო ჩუენ ჯუარითა ცხოვრება-შემოსილნი, ქუეყანასა ზედა დანერგულსა ძელსა ამისთვის აწ აღვაძამდლებთ, თაყუანის-ვსცემთ მას და შენ გადიდებთ.

*ღმრთისმშობლის ტაძრად მიგვანებიდან მის წარგ ზაენამდე (21-დან 26 ნოემბრამდე, ძვ. სტ.):*

ანგელოსთა რა იხილეს შესლვა ყოვლადწმიდისა და უკვირდთ, ვითარ ქალწული შევალს წმიდასა შინა წმიდათასა. კიდობანსა მას შჯულისასა ვერ შეეხებოდა კელი ყოველთა, ხოლო აქა დღეს, ბაგენი ჩუენ მორწმუნეთანი კმითა დაუდუმებელითა ესრეთ გაბრიილის თანა ვიტყოდეთ: გიხაროდენ, მიმადლებული, უფალი შენთანა.

*ქრისტეს შობიდან მის წარგ ზაენამდე (25 დეკემბრიდან: 1 იანვრამდე, ძვ. სტ.):*

ადიდე სულო ჩემო უპატიოსნესი და უდიდებულესი მადლისა მკედრობათა ქალწული ყოვლადწმიდა ღმრთის-მშობელი.

ვერ არს დუმილი, ვინაითგან ვერ შეუძლებთ, ღირსებით ქებად შენდა დღეს ღმრთისმშობელი, ხოლო არავე დაგსდუმნეთ შიშისაგან, არამედ მსგავსად შეძლებისა ჩუენისა შევსწირით შესხმა, რომლითა გადიდით შენ.

*წინადაცუეთას (1 იანვარი, ძვ. სტ.):*

შენდამი იხარებს მიმადლებული ყოველი დაბადებული, ანგელოსთა კრებული და კაცთა ნათესავი. ტაძარო სიწმიდისაო,

საგან  
გამ  
ლი  
თა  
სიყ  
სი  
თ  
ზე  
ი

სამოთხეო პირმეტყუელო, ქალწულებისა სიქადულო, რომლისაგან სიტყუად განწორციელდა და ყრმა იშუა უწინარეს საუკუნეთა, ღმერთი ჩუენი, რომელმან საშოა შენი საყდრად გამოაჩინა და მუცელი შენი ცათა უვრცელეს ჰყო. შენდამი იხარებს მიმადლებული ყოველი დაბადებული, დიდება შენდა.

*ნათლისღებას (6 იანვარი, ძვ. სტ.):*

ადიდე სულო ჩემო უპატიოსნესი მადლისა მკედრობათა, ქალწული ღმრთისმშობელი ყოვლადწმიდა.

ვერ შემძლებელ ვართ დიდებად შენდა ჯერისაგერ ქუეყანისანი და მოუძღურდებიან ზეცისანი ღმრთისმშობელი, რამეთუ უზესთაეს იქმენ, შეიწირე სარწმუნოებაი ჩუენი, უწყით სიყუარული შენი და ვითარცა ნათელსა ქრისტიანობისასა გადიდებთ.

*მირქმას (2 თებერვალი, ძვ. სტ.):*

ღმრთისმშობელი ქალწული, სასოებაო ქრისტიანეთაო, დაგვფარე, დაგვცვე და გვაცხოვნე, რამეთუ შენ ზედა დაგვიძს სასოება.

წერილთა მიერ შჯულისათა მოგუესწავა ჩუენ მორწმუნეთა, ვითარმედ ყოველი წული პირველ საშოადა განმძლებელი წმიდა უფლისა და იწოდოს. აჰა, დღეს ვინილეთ ჩუენ პირმშოი ზეცით და ქუეყანით და სარწმუნოებით ვადიდებთ.

*ხარებას (25 მარტი, ძვ. სტ.):*

აუწყებდით ქუეყანა სიხარულსა დიდსა, აქებდით ზეცისა ღმრთისა დიდებასა.

კიდობანსა მას შჯულისასა ვერ შეეხებოდა კელი  
ყოველთა, ხოლო აქა დღეს ბაგენი, ჩუენ მორწმუნეთანი კმითა  
დაუდუმებელითა ესრეთ გაბრიილის თანა ვიტყოდეთ:  
გიხაროდენ, მიმაღლებულთ, უფალი შენთანა.